

ქალადობისგან დაცვის
ეროვნული ქსელი

Anti-Violence Network
of Georgia



ძალადობა



ოჯახში ძალადობის საკითხებზე თვითმმართველობების როლი იზრდება

როგორ იცავს კანონმდებლობა მსხვერპლს მოძადადისგან

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმმართველობებიც ჩაერთვებიან. მათი როლი და პასუხისმგებლობა იზრდება და პრევენციასთან ერთად, თვითმმართველობებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების თუ სხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება დაეკისრებათ.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონებში ცვლილებები „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ მოამზადა და პარლამენტმა ის მეორე მოსმენით უკვე მიიღო. ინიციატივის მიხედვით, ცვლილებები ეხება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა“ და საქართველოს კანონს – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტის, გია გოგიბერიძის ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება თვითმმართველი ორგანოების როლის გაზრდის გზით. კერძოდ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა და აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლებამოსილება ენიჭებათ, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ასევე, უფლებამოსილება ენიჭებათ, ხელი შეუწყონ შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის შექმნას.

მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით ცვლილებები შედის:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“;
 - „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში.
- მომზადებული კანონპროექტების მიზანია,

უზრუნველყოს:

- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობა და აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება;
- საქართველოს კანონმდებლობის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბულის კონვენციის) ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობა.



„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბულის კონვენციის) ევროპის საბჭოს კონვენციის ნორმები:

„მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს რათა შეიმუშაონ და განახორციელონ სახელმწიფო მასშტაბის ეფექტური, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკა რომელიც მოიცავს ყველა შესაბამის ზომას ძალადობის ყველა ფორმის თავიდან ასაცილებლად და დასამარცხებლად რომელსაც ფარავს ამ კონვენციის კომპეტენცია. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ზომები უნდა მოიცავდეს, სადაც ეს მიზანშეწონილია, ყველა შესაბამის ეროვნულს, მაგალითად სამთავრობო უწყებებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ადამიანის უფლებებზე მომუშავე დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებს.“ (მუხლი 7)

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბულის კონვენციის) ევროპის

საბჭოს კონვენციის ნორმები:

მხარეები მიიღებენ აუცილებელ საკანონმდებლო თუ სხვა ზომებს, ქვეყნის შიდა კანონების შესაბამისად, ისეთი სათანადო მექანიზმების უზრუნველყოფად, რომლებიც საჭიროა ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების შედეგადად თანამშრომლობისათვის, მათ შორის მოსამართლეების, პროკურორების, ძალადგანი სტრუქტურების, ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების თანამშრომლობისათვის, ამ კონვენციის კომპეტენციით მოცული ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა და მოწმეთა დასაცავად და მხარდასაჭერად. (მუხლი 18)

კანონპროექტების მიხედვით:

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა:

- ოჯახში ძალადობის პრევენცია;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება.

მომზადებული ცვლილებების მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავიანთი სამართლებრივი აქტით განსაზღვრონ ის სოციალური, ეკონომიკური, საინფორმაციო-საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები და პროგრამები (პროექტები), რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისაკენ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისაკენ.
- კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქონების გადაცემით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით/საშუალებით, ხელი შეუწყონ შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მოწყობას;

სხვა საკანონმდებლო ნორმები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე არაერთი საკანონმდებლო ნორმა არსებობს. მათ შორის:

- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (თავი VII3);
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

• საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს საქართველო სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით: ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნული ქმედებისათვის გათვალ-

ისწინებულია პასუხისმგებლობის შემდეგი ზომა: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 80-დან 140 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მიხედვით, თუ იგივე ქმედება, ჩადენილი იქნება: წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ორი ან მეტი პირის მიმართ; პირთა ჯგუფის მიერ ან არაერთგზის, დაისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 200-დან 400 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

საქართველოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია

ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები პრობლემის მოსაგვარებლად საზოგადოების ჩართულობასა და მათ აქტიურ როლზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, ესპერტები თუ პედაგოგები აცხადებენ, თუ თითოეულმა ადამიანმა ძალადობის თემაზე პროტესტი არ გამოხატა, „ეს მე არ მეხება“-ს პოზიცია და დუმილი პრობლემას უფრო გაართულებს.

ნაწო შავდაყაძე, ძაღადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ხედმძღ-ვანელი: „ოჯახში ძალადობა ძირითადად ფსიქოლოგიური ძალადობითა და იძულებით იწყება. 2012 წელს სს კოდექსშიც გაჩნდა მუხლი, რომლითაც ამ დანაშაულის კრიმინალიზაცია მოხდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოძალადეებს მაშინვე იჭერენ და ციხეში გზავნიან. ფაქტების აღმოსაფხვრელად „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ საკმაოდ აქტიურად იმუშავა და პარლამენტს საკანონმდებლო პაკეტიც შევთავაზეთ. საუბარია პედაგოგების, ექიმების და იმ წრის პასუხისმგებლობაზე, რომლებსაც უშუალოდ მსხვერპლებთან აქვთ ურთიერთობა, ინფორმაციას ფლობენ, თუმცა, მაღავენ. სკოლებში ყველაზე მეტი ინფორმაცია სწორედ, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ, ისევე, როგორც ექიმებს, რომლებთანაც ძალადობის მსხვერპლები ხვდებიან. თუ ისინი ფლობენ ინფორმაციას, რომ ოჯახში ხდება ძალადობა, მათ ევალებათ, ინფორმაცია შესაბამის უწყებებს მიაწოდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ სანქციები უნდა მოქმედდეს. ეს ჯგუფური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა იყოს.

ჩვენი კვლევებით, საქართველოში ყოველი მესამე ადამიანი ძალადობის მსხვერპლია. ძალიან საშუალოა, რომ

მსხვერპლებს საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლიათ. მხოლოდ 20 %-ია აქტიური, რომელთაც საკუთარ თავის დაცვაც შეუძლიათ და შვილებსაც იცავენ მოძალადებისგან. მინდა, გავისხენო ერთ-ერთი



ისტორია, რომელიც რეგიონში მოხდა. ქალბატონი ყოფილმა მეუღლემ სამარშრუტო ტაქსიდან გადმოათრია, სადაც 14 ადამიანი იჯდა, მათ წინაშე უმოწყალოდ სცემა და ამ 14 ადამიანიდან არცერთს ეყო პასუხისმგებლობა, რომ ქალბატონს მოწმედ სასამართლოში გაყოლოდნენ. ამბობდნენ, ეს კაცი გიჟია, ჩვენც ოჯახები გვყავს და შეიძლება ჩვენს გავისწორდესო.“

რა არის ძაღადობის ძირითადი მიზეზები და რამდენად დაკავშირებულია ის სოციალურად დაუწყვედ ფენებთან ?

ნ.შ. ოჯახში ძალადობის ძირითადი მიზეზია ერთი ადამიანის მხრიდან მეორეზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვება, რასაც ამოფრებს და ხელს უწყობს 20 წლის განმავლობაში მოუგვარებელი სოციალური გარემო, რომელიც სავე-

პრობლემებით, უმუშევრობით. ასევე, ქალის როლი საზოგადოებაში, მეტალური პრობლემები, რომ სახლში რაც ხდება არ უნდა გამოფინოთ, რომ ეს არ არის ყველას საქმე არ არის და ასე შემდეგ.

ძალადობა არ ცნობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, არც სოციალურ წარმომავლობას. ეს პრობლემა ყველა ქვეყანაში არსებობს. ზოგადად, ითვლება, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა, ასოციალური ქცევის, მარტოხელა მშობლის ოჯახები, სიღატაკის ზღვარზე მყოფი, მრავალშვილიანი, ცხოვრების კრიმინალური წესის მქონე მშობელთა ოჯახები გაცილებით მეტ რისკს წარმოადგენენ ძალადობის გამოვლენის კუთხით. ზოგადად კი ძალადობა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველთა, არამედ წარმატებული ოჯახების პრობლემაცაა.

რაწომ ითმენენ ძაღადობას, სახედმნიფო ვერ სთავზობს მესხ-ვერძებს შესაბამის სერვისს?

ნ.შ. იმ მსხვერპლების მაგალითზე, რომლებიც ჩვენს თავშესაფარში ხვდებიან, შემიძლია ვთქვა, რომ მსხვერპლები სახლიდან მას მერე მოდიან, როცა ძალადობა შეილებზეც იწყება. დედა მაშინ მოდის სახლიდან, როცა საკუთარი შვილის ტანჯვის ყურებას ვერ უძლებს და შველას ითხოვს. ასევე, როცა უკიდურეს ზღვარზე არიან და ოჯახში ვითარება იმდენად დაძაბულია, რომ ცხოვრება შეუძლებელია. მაგალითად, როცა ძალადობას ბავშვიც იწყებს და იგივეს აკეთებს, რასაც მამა. მაგალითად 8 წლის ბავშვი როცა დედის ცემას იწყებს. როცა 3 წლის ბავშვი კითხულობს, ჩემი მამიკო კუბოში რომ ჩავაწვინოთ არ შეიძლებაო. ანუ, როცა დედები ხედავენ, რომ პრობლემები უკვე ბავშვებსაც უჩნდებათ. მინდა ქალებს რჩევა მივცე - როცა ძალადობის ფაქტი პირველად მოხდება,

შეიძლება ეს ცემა არც იყოს და ყვირილით ან დამტყვევით დაიწყოს, ქალბატონებს არ უნდა შეეშინდეთ და არ უნდა იფიქრონ, რომ ყველაფერი მათი ბრალია.

ძ ა დ ა დ ბ ი ს მ ს ხ ვ ე რ ჰ დ ა თავშესაფრებში ადგილები მუდმივად დაკავებულია. რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა მსხვერპლი დახმარებას გთხოვთ, თქვენ კი ადგილი არ გაქვთ?

ნ.შ. სახელმწიფოს 3 თავშესაფარი გააჩნია თბილისში, გორსა და ქუთაისში. მალე კახეთშიც იგეგმება გახსნა. როცა სახელმწიფო თავშესაფრები გადავსებულია, ბათუმისა და თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარსაც იყენებენ ძალადობის მსხვერპლთათვის. სამივე თავშესაფარში სულ არის 60 ადგილი. ამას გარდა, ჩვენ 10 ადგილიანი თავშესაფარი თბილისში და 8 ადგილიანი ახალციხეში.

სახელმწიფო თავშესაფარში მიღების წესი საკმაოდ რთულია. კერძოდ, თუ მსხვერპლის სტატუსი არ გააჩნია, თავშესაფარში ვერ მოხვდები. სტატუსის მინიჭებას კი გარკვეული პროცედურების გავლა და ვადა სჭირდება. ამ პერიოდის განმავლობაში მსხვერპლის გადმომისამართება ჩვენს თავშესაფარში ხდება. მხოლოდ ჩვენს 2 თავშესაფარს შეუძლია მსხვერპლის დაუყოვნებლივ მიღება და განთავსება.

პრობლემა იმდენად რთულია, ჩვენი თავშესაფარი მუდმივად გადავსებულია. გვქონია შემთხვევები, მსხვერპლებს ჩვენს თავშესაფარში სკამზეც გაუთენებიათ იმის გამო, რომ სხვა გამოსავალი არ იყო და ჩვენი მხრიდან უარის შემთხვევაში ეს აღამინი ქუჩაში რჩებოდა ან იძულებული იყო, მოძალადესთან დაბრუნებულიყო. მაქსიმალურად ვცდილობთ, ყოველთვის გვქონდეს კარები ღია იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჩვენ ვჭირდებით. იატაკზეც კი ვუშლით დასაწოლს, მთავრია, უარი არ ვუთხრათ.

თავშესაფარში ცხოვრების ვადის ამონურვის შემდეგ რა ხდება, სად მიდიან მსხვერპლები?

ნ.შ. იმ ადამიანების 50%, ვინც ჩვენი თავშესაფრით ისარგებლა, მოძალადესთან დაბრუნდა. მიზეზი სწორედ ის არის, რომ წასასველი არსად აქვთ, არც სამსახური აქვთ და არც სხვა შემოსავალი. თუმცა, რეაბილიტაციის კურსი მათ საკმაოდ ცვლის. ისინი ძლიერდებიან, ბევრ რამეს სწავლობენ და არ ემინიან.

სახელმწიფო რამდენად აღიქვავს აღნიშნულ პრობლემას, რა კეთდება პრევენციისთვის?

ნ.შ. სახელმწიფო გეგმავს, 2016 წლიდან მეტი ყურადღება დაუთმოს აღნიშნულ საკითხს. დაგეგმილია კრიზისული ცენტრის გახსნა. კრიზისული ცენტრი

არის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი მანამ, სანამ ისინი სტატუსს მიიღებენ და სახელმწიფო თავშესაფარში გადავლენ. ჯერჯერობით, ჩვენთან მსგავსი კრიზისული ცენტრები არ არსებობს. საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და დაახლოებით 10 დღის უკან გამოიტანა დადგენილება, რომლითაც, საკმაოდ მორიდლი ფართი გადმოგვეცეს, სადაც ჩვენი თავშესაფარი განთავსდება, რომელიც ამავდროულად კრიზისული ცენტრის ფუნქციასაც შეასრულებს. რაც შეეხება გადმოცემული შენობის რეაბილიტაციას, ჩვენი პარტნიორებისა და დონორების (პოლონეთის საელჩო, ესტონეთის საელჩო და ორგანიზაცია «ქალები ქალებისთვის» (KTK) იმედი გვაქვს. სწორედ მათი დახმარებით მოხდება შენობის რეაბილიტაცია და გამართვა. კრიზისული ცენტრისთვის ფართის გამოყოფა სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კუთხით გადადგმული საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოშიც საფუძველი ეყრება ევროპულ პრაქტიკას, სადაც სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობები გაერთიანებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ეფექტური დაცვისათვის.

როგორ აისახება ოჯახში ძალადობა უშიშროებაზე?

„თუ თქვენს ოჯახში ერთხელ მაინც მოხდა ძალადობა და თქვენ ეს გადაყდათ, უნდა იცოდეთ, რომ უფრო მეტის გადაყდავს მოგიწევთ სანამ ძალადობა არ დაგახრჩობთ.“



გამოსავალი არ იქნება, თუ დროზე არ გადადგით ნაბიჯი, არ დააღწიეთ თავი და არ უთხარით ძალადობას „არა“ - ელისო ამირეჯიბი, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ რეგიონული კოორდინატორი.

ოჯახში ძალადობა პირდაპირ თუ ირიბად ყოველთვის ახდენს გავლენას ბავშვზე. მოძალადის მხრიდან ხშირია ბავშვებით მანიპულირება, ფსიქოლოგიური ძალადობა ბავშვების თემით: „თუ გამყრები, ბავშვებს წავგარბმევ,

დედობას ჩამოგართმევ...“ როცა ძალადობრივ გარემოში იზრდებიან ბავშვები, ისინი ხედავენ, რომ მოძალადე ოჯახის წევრებზე ძალაუფლების და კონტროლის მოპოვების გზით, ყოველთვის აღწევს მიზანს. მათ უყალიბდებათ განცდა, რომ ძალადობით ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია. ბავშვების ნაწილი ამ როლს ითვისებს და თავის ურთიერთობებს სწორედ ძალადობრივ ქმედებებზე აგებს. ძალადობრივ გარემოში გაზრდილი ბავშვების ნაწილი კი მსხვერპლის ფსიქოლოგიით ყალიბდება. როცა ბავშვი ხედავს, რომ დედას უყვირიან, სცემენ, ამცირებენ, ის ცდილობს დაეხმაროს მშობელს და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ თავიდან ააცილოს მორიგი თავდასხმა. ეს ბავშვები მუდმივ შიშსა და სტრესში ცხოვრობენ, თუმცა ზრდასრულ ასაკში იმეორებენ ურთიერთობის იმ ფორმებს, რომლებიც საკუთარ ოჯახში შეითვისეს.

სამწუხარო ტენდენცია გვაქვს რეგიონებში, სადაც ოჯახში ძალადობის გამოვლენა ისევ პრობლემატურია. სანამ ძალადობა უკიდურეს მასშტაბს არ მიაღწევს, ადამიანები არ მიმართავენ სამართალდამცველებს. რეგიონში ყველა ყველას იცნობს და მსხვერპლს ყოველთვის აქვს იმის შიში, რომ მოძალადე, რომელიც შეიძლება პოლიციელის ბიძამ-ვილი, ნათესავი, ახლობელი იყოს და არ

დაიცავს მას.

პრობლემა ცნობიერებაშია. ჩვენს მდგომარეობას იმდენად ვერაფერია, რომ არც გვინდა აღიარება, რომ პრობლემა გვაქვს. ერთი შემთხვევა მინდა გავისწირო, როცა ოჯახის ქალიშვილზე მისი მეუღლე (ოჯახის სიძე) ძალადობდა. გოგონას დედას შესაძლებლობა ჰქონდა, მისი ქალიშვილი მოძალადისგან გაეირიდებინა და საცხოვრებლად ცაქლე გაეყვანა. როცა ვკითხეთ, ამას რატომ არ აკეთებდა, ქალბატონი მოგვიტრიალდა და გვითხრა, ჩემი ქმარი მთელი ცხოვრება მცემდა, მაგრამ, ოჯახი არ დამინგრევია. ფასეულობების პრობლემაც გვაქვს. ჩვენ ძალიან მოგვწონს, როცა მეზობლები ამბობენ, რა მშვენიერი ოჯახია, რა კარგი სიძე ჰყავთ, რა ლამაზად ცხოვრობენ და ასე შემდეგ. ანუ, გუშაობთ გარეგნულ ეფექტებზე და თუ პრობლემა ოჯახიდან გამოიტანე, გლანძღავენ - ქალმა როგორ არ გადაყლაპა, როგორ არ მოითმინა, როგორ გაბედა და საკუთარი ქმარი დააჭერინაო. ის, რომ ამ ქმარს ქალი სიკვდილის პირამდე მიყავს, ის, რომ ამ ოჯახში ბავშვებიც იზრდებიან, რომლებიც შემდეგ თავად ხდებიან მოძალადეები, არ აინტერესებთ. მსგავსი ქმედებებით თავად საზოგადოება ძალადობს ქალზე და აიძულებს, რომ ითმინოს. ჩვენ ამ დაკვეთაზე უნდა ვთქვათ „არა“.

ქალებმა უნდა გააცნობიერონ, რომ უმოქმედობით უფრო აქტიურობენ ოჯახურ ძალადობას

გუგული მალრადი, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი, გენდერული საკითხების ლობისტი, გენდერული საბჭოს წევრი:

„ოჯახური ძალადობის პრობლემა მწვავედ დგას საქართველოში და მთელს მსოფლიოში. 2015 წლის მარტში ფუნდამენტალური უფლებების სააგენტომ, რომელიც ევროკავშირის ეგიდით გამოვიდა, დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ქალების 28%-მა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა 15 წლის ასაკიდან განიცადა. ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით ცივილიზირებული ქვეყნების ძლისხმევის გაერთიანებისთვის არაერთი დოკუმენტი მომზადდა. 2011 წელს სტამბულში მიღებული ევროსაბჭოს კონვენცია არის უნიკალური, უპრეცედენტო, ინოვაციური, ყოვლისმომცველი და საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი. სტამბულის კონვენცია არის პირველი სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც ხაზს უსვამს ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, როგორც დისკრიმინაციის ფორმას ქალთა და ადამიანთა უფლებების წინააღმდეგ. „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია“ (სტამბულის კონვენცია) სტამბოლში, 2011 წლის 7 მაისს მიიღეს და მას ევროპის საბჭოს ბევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციას საქართველომ ხელი 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა. საქართველოში არსებობს მზადყოფნა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებისთვის. კონვენციის რატიფიცირების პროცედურების წარმართვისათვის აუცილებელია, მოხდეს ქვეყნის

შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტში 2013 წელს ინიცირებული იყო კანონპროექტთა პაკეტი ჩემს მიერ,



როგორც პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრის სახელით. ეს პაკეტი საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 1 ოქტომბერს მიიღო, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა და დღის წესრიგში დადგა საქართველოს კანონმდებლობაში სხვა ცვლილებების შეტანაც. მაგალითად, თვითმმართველობის კოდექსის მიღების შემდეგ საჭირო გახდა უფრო ნათლად გამოკვეთილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი და მონაწილეობა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის და პრევენციის საქმეში. ინიციატივა „ძალადობისაგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ მოამზადა, რომელიც პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე მიიღო. ეს კანონპროექტი პირდაპირ პასუხობს „სტამბულის კონვენციის“ მოთხოვნას ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლაში ხელისუფლების ყველა შტოს აქტიური მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ აღექვატურად მოქმედებს ოჯახური ძალადობის ბრძოლისა და პრევენციის სფეროში. სისტემატურად ტარდება ტრენინგები პოლიციელებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის, რომ მათ ზუსტად შეასრულონ საკუთარი მოვალეობები ამ მიმართულებით. ასევე, ტარდება ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, მუშაობს ცხელი ხაზი, ფუნქციონირებს თავშესაფრები, მაგრამ ცხადია ეს არაა საკმარისი.

ამ მწვავე პრობლემის მთლიანად მოგვარება შეუძლებელია და ეს ვერცერთმა ქვეყანამ შეძლო. კანონმდებლობის მიმართულებითაც არაერთი რამაა მოსაგვარებელი. მაგალითად, მოსაწესრიგებელია თუ რა შეიძლება გაკეთდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასაქმების და საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ, თუ საბოლოოდ შეუძლებელია ოჯახში დაბრუნება.

ქალებმა უნდა გააცნობიერონ რომ უმოქმედობით ისინი უფრო აქტიურობენ ოჯახურ ძალადობას. დროულად უნდა ჩართონ ყველა ის მექანიზმები რაც კანონს გააჩნია. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ ახალი კანონმდებლობით მოძალადეებმა აუცილებლად უნდა გაიარონ ძალადობრივი ქცევის შეცვლისთვის მიმართული სწავლების და ტრენინგების კურსი, რამაც ძალიან კარგად იმუშავა ბევრი ქვეყანაში.

მნიშვნელოვანია, ყველა იმ ორგანიზაციის შეთანხმებული მუშაობა, ვისაც სამსახურებრივად ევალება ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა. მეტი მუშაობაა საჭირო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით დამახინჯებული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად.

ოჯახში ძალადობის ისტორიები

36 წლის მარიამი სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. მისი ისტორია უბანში თითქმის ყველამ იცის, მისმა მშობლებმაც კი. თუმცა, როგორც მარიამი აცხადებს, ის იძულებულია, მეუღლისგან ცემა და შეურაცხყოფა აიტანოს. მეუღლისგან ნაცემი ქალბატონი საავადმყოფოშიც არაერთხელ მოხვდა, თუმცა მეუღლის წინააღმდეგ საჩივარი ერთხელაც არ დაუწერია.

მარიამი: 18 წლის გავთხოვდი. 19-ის როცა გავხდი, პირველი შვილი გამიჩნდა. თავიდან მეუღლესთან კარგი ურთიერთობა მქონდა, შემდეგ კი სმა დაიწყო და ყველაფერი აირია. პირველად რომ მცემა პირველი შვილი 3 თვის იყო. ცემის მიზეზი ის გახდა, რომ ბავშვის ტირილმა შეაწუხა. ამის შემდეგ კვირა ისე არ გავა შეურაცხყოფა რომ არ მომაყენოს.

3 შვიდი გყავთ და 8 ნეცია ძაღლობას იცანთ. რაფომ?

მარიამი: ძალადობას და შეურაცხყოფას უკვე ისე შევეჩვეე, სახლში ფიზიკური როცა მოდის ძალიან მიკვირს. როცა ფიზიკურია, პრობლემა არ არის. ძალადობა მაშინ ხდება, როცა მთვრალია. 3 შვილი მყავს და მათი თანდასწრებითაც არაერთხელ დაურტყია ხელი. ამისთვის მიზეზი არ სჭირდება. ყველაფერი შეიძლება მიზეზი გახდეს. ამ ყველაფერის შვილებისთვის ვიტან. არ მინდა, ოჯახი დავეუნგრო, ან სად უნდა წავიდე? არც სამსახური მაქვს და არც სახლი. ჩემი მშობლები ავადმყოფები არიან და პენსიით ცხოვრობენ. ძალიან უჭირთ. სხვა პატრონი არ გყავს. ნაცემი მეზობლებმა რამდენჯერმე წამიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ მერე ისევ უკან მოვბრუნდი. რომ წავიდე, ეს 3

შვილი სად წავიყვანო?

დახმარებისთვის სამართადიამ-ცხედებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს რაფომ არ მიმართავთ?

მარიამი: ვის უნდა მივმართო, ვინ რას მიშველის. „ამ კაცს“ დაიჭერენ და დამთავრდება ყველაფერი. ჩვენ ისევ უპატრონოები ვიქნებით. მეუღლე ფიზიკურად მუშაობს და საჭმელი მაინც გვაქვს. მე განათლება არ მიმიღია, მარტო სკოლა დავათავრე და რა უნდა ვქნა. არც ის მინდა, რომ ბავშვებს სკოლაში მიუყვარდეს და შეარცხენოს. ამ ყველაფერს ბავშვებისთვის ვიტან. სადმე წასასვლელი რომ მქონდეს ან ვინმე ძლიერი ადამიანი მედგეს გვერდით, აქ არ გავჩერდებოდი, მაგრამ, სხვა გზა არ მაქვს. მეზობლების რჩევით ერთხელ დავაპირე პოლიციაში წასვლა. განცხადება სახლში დავწერე,

რომ ჩამებარებინა, მაგრამ იპოვა და ისეთ დღეში ჩამაგდო, მაგას მეორედ ვერც გაგებდავ. ვიტან, სანამ შევძლებ.”

მსგავსი არაერთი ისტორიის მოსმენა შეიძლება. ეს ის შემთხვევებია, როცა მეზობლებმა, მეგობრებმა, ნათესავებმა ყველაფერი იცინა, თუმცა ყველა ფიქრობს, რომ ეს მათი საქმე არ არის. არადა, მათი დუმილი რომ არა, შესაძლოა, არაერთი ქალბატონი ყოფილიყო დღეს ცოცხალი.

ძალადობის კიდევ ერთი ისტორია 25 წლის ნინას უკავშირდება. ის იმერეთში ცხოვრობს. მისი მეუღლე ნინაზე 18 წლით უფროსია, რომელიც სწავლასაც უკრძალავს და მუშაობასაც.

ნინა: „სტუდენტი ვიყავი, როცა ჩემმა მეუღლემ მომიტაცა. მაშინ პოლიციაში მუშაობდა, ყველას იცნობდა და გავლენაც ჰქონდა. დამპირდა, რომ სწავლას გამაგრძელებინებდა და სამსახურსაც დამაწყებინებდა. პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც სწავლის გაგრძელებაზე უარი მითხრა და სახლში მოსამსახურე უნდა გყოფილიყავი. ამ საკითხზე მუდამ კონფლიქტი გვექონდა. სწავლა არ გამაგრძელებინა, სამსახურზეც უარი მითხრა და სახლიდანაც არსად მიშვებდა. მეუბნებოდა, რომ მეგობრები და ნათესავები აქეთ მოსულიყვნენ ჩემთან, მე არსად უნდა წავსულიყავი. ამ სიტუაციას შემაგუა. დაპირისპირებას თავს ვარიდებდი და სხვა გზა არ მქონდა. მერე შეურაცხყოფასაც მაყენებდა, მუდმივად იმას იმხსნა, რომ მე უსწავლელი ვარ, არაფერი ვიცი და მასზე ვარ დამოკიდებული. ელემენტარული თანხა რომ დამჭირდებოდა, ძალიან მაწვალებდა და მათხოვარივით მექცეოდა. ჩემს ოჯახს ამ ყველაფერს ვერ ვუყვებოდი, რადგან ჩემი ძმა ამას ვერ მოითმენდა და სერიოზული კონფლიქტი მოხდებოდა. მართალია, ფიზიკურად არ შემხვებია, თუმცა მუდმივი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვარ, რომ მე არაფერი შემიძლია, რომ მე მასზე ვარ დამოკიდებული, რომ ყველაფერი მას უნდა ვთხოვო და ასე შემდეგ. ჯერჯერობით ამ ყველაფერს იმიტომ ვიტან, რომ ჩემს ძმასთან დაპირისპირება არ მოუვიდეს და რამე არ დაუშვავოს.“

თუ ძალადობის ფორმებს გადავხედავთ, ეს უკანასკნელი გავრცელებული 5 ფორმიდან ერთ-ერთს - ფსიქოლოგიურ ძალადობას მიეკუთვნება. როგორც „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ფსიქოლოგიური ძალადობა საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ფორმაა, თუმცა, ხშირ შემთხვევებში ქალბატონები ვერ აცნობიერებენ, რომ მათზე ძალადობა ხორციელდება.

კიდევ ერთი რესპონდენტი ლეილა დღეს 56 წლისაა. როგორც თავად ამბობს, 20 წელზე მეტია, მოძალადის ოჯახში ცხოვრობს.

ლეილა: „ძალადობა, ოჯახური კონფლიქტი და ოჯახურ პრობლემების გარეთ გატანა დღესაც სირცხვილად ითვლება და როცა მე ოჯახი შევექმნე მაშინ ამ საკითხზე საერთოდ წარმოუდგენელი იყო ვინმესთან საუბარი, განსაკუთრებით კი რეგიონში. ერთ პატარა სოფელში ვავთხოვდი, სადაც ყველა ყველას იცნობს, ყველა ეხლობოდა და მეზობლებმა

ერთმანეთის ამბავი ძალიან კარგად იცინა. ოჯახის შექმნის დღიდან მეუღლის ძალადობის მსხვერპლი ვარ. მიზეზი არ სჭირდება, თუ ხასიათზე არ არის, თუ რამე არ მოეწონება, თუ ვინმე აწყენინებს, თუ სასმელს ვერ იშვავს, ყოველთვის მსხვერპლი მე ვარ. არასდროს მორიდებია შეილებსაც კი. როცა ბავშვები პატარები იყვნენ, მათი თანდასწრებითაც კი მცემდა და შეურაცხყოფას მაყენებდა. ამ ყველაფერს შვილები-სთვის ვიტანდი, მათ ოჯახი რომ ჰყოლოდათ, რომ არავის დაეცინა მათთვის. გარდა ამისა, წასასვლელი არსად მქონდა და რა უნდა მექნა. თავის მოკვლაზე არაერთხელ მიფიქრია, მაგრამ, ამით ისევ ბავშვები დაზარალდებოდნენ. დღეს სულ სხვა ცხოვრებაა, სხვა დონეა. ახლა კი ვხვდები, რომ ძალიან შეცვლი. არ უნდა ამეტანა და ბავშვებისთვის ეს აგრესია არ უნდა მეჩვენებინა. შედეგად კი ის მოვიღე, რომ შვილები ასეთ გარემოში ცხოვრებას მიეჩვივნენ და მათთვისაც დასაშვები გახდა ქალის ცემა და შეურაცხყოფა. ნ წელია ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, თუმცა ძალადობას ახლა შვილების მხრიდან განვიცდი. მართალია, ფიზიკურად არ მეხვებიან, თუმცა სხვას არაფერს მაკლებენ და ეს ჩემი ბრალია.“



38 წლის ია მეუღლის ოჯახიდან წავიდა, თუმცა, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ტვინის შერყევით საავადმყოფოში მიიყვანეს. ჩხუბის მიზეზი კი ის გახდა, რომ სერიალის ყურებისას, ეროტიკული სცენის დროს იამ ტელევიზორი სხვა არხზე გადაართო. მას თავში მეუღლისგან დამინებული ბოთლი მოხვდა, რის შემდეგაც გონება დაკარგა. დღეს ის ერთერთ რეგიონში ნათესავთან ცხოვრობს და დამოლაგებლად მუშაობს.

ეკა, 46 წლის: „მამაჩემი ყოველთვის წარმატებული და ცნობილი ადამიანი იყო როგორც ფინანსურად, ისე კარიერის მხრივ. სულ მაღალი წრის საზოგადოება ტრიალებდა ჩემს ოჯახში. ჩემი გათხოვება მამამ და მისმა მეგობარმა გადაწყვიტეს და ამ მეგობრის შვილზე დამაქორწინეს. ჩემმა მეუღლემ ძალადობა რამდენიმე თვეში გამომამუდავა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ვიზუალურად ძალიან ლამაზი ვიყავი და ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობდა. როცა პირველად დამარტყა, ეს ჩემთვის იმდენად წარმოუდგენელი იყო, სახლში დავბრუნდი, თუმცა, მამამ მაიძულა, უკან დავბრუნებულიყავი. მას შემდეგ კიდევ ორჯერ წავედი სახლიდან, მაგრამ ორივეჯერ დამაბრუნა. მამა თავის სტატუსსა და წარმატებას უფრო ხილავდა, არ უნდოდა მისი ოჯახის სახელი შეზღაულოყო, ეს პრობლემა ვინმეს გაეგო და მისი სახელი დაზიანებულიყო. მეც,

ისეთ ოჯახში ვიყავი გაზრდილი, მრცხვენოდა ვინმესთვის რომ მეთქვა, რომ მეუღლე მცემს. როცა ოჯახის მხარდაჭერა არ გაქვს, იქ სხვას ვერაფერს მოთხოვ და ვერც გაგიგებენ. უბრალოდ, სალაპარაკო თემას და საჭიროა გაუჩენ, ყველა შენზე ილაპარაკებს, ეცოდებით. ვფიქრობ, დღეს ვითარება ცოტა შეცვლილია, ახალგაზრდები უფრო თამამები და გათვითცნობიერებულები არიან, მეტი სერვისი და ინფორმაცია არსებობს და თავი არ უნდა გაანადგურებინონ მოძალადეს. საზოგადოებრივი აზროვნება და დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს, სხვანაირად არ გვეშველება“.

ძალადობის კიდევ ერთი მსხვერპლი ნონა აფხაზეთიდან დევნილია. ის ძალადობას მანამ იტანდა, სანამ მოძალადე შვილებსაც არ შეეხო. „საზღვარი“ გადმოკვეთა და ზუგდიდში ჩავიდა. რომ არა „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“, რომელმაც ნონა შეიფარა, გადარჩებოდა თუ არა, თავდაც არ იცის.

ნონა, აფხაზეთიდან დევნიდი: „აფხაზეთში ძალიან წარმატებული ქორეოგრაფი ვიყავი, წარმატებული კარიერა მქონდა. რომ არა ოჯახში ძალადობა, რომ არა ამდენი გაუთავებელი შეურაცხყოფა, ცემა, შვილებზე ძალადობა და ამ ყველაფრის ჩამალვა, ჩაკეტვა, რაც ქართველებს გვახასიათებს, დღეს ასე არ ვიქნებოდი. ოჯახიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როცა მოძალადე შვილებზე გადავიდა, როცა 10 წლის ბავშვს ქუსლით სცემდა მამა. იმდენად უკოტროლოდ სცემდა, რომ შეიძლება ბავშვი მომკვდარიყო და ამასა მე ვუყურებდი. მგონია, რომ ჩვენ, ქალები არასწორი მენტალიტეტით ვართ გაზრდილები, რომ ჩვენ ვართ ქალები, დედები და ოჯახში ყველაფერი უნდა ავიტანოთ და ვითმინოთ. ეს ყველაფერი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხდებოდა. გადმოკვეთე „საზღვარი“ და ოჯახიდან ისე წამოვედი, რომ აქეთ არც არავის ვიცნობდი. კითხვა-კითხვით ზუგდიდში „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ოფისს მივადექი. 2 შვილთან ერთად თავშესაფარში მიმიღეს. გოგო 11 წლისაა, ბიჭი 6 წლის. თავშესაფარში წელიწადზე მეტი დროით ვიცხოვრეთ. წასასვლელი არსად მქონდა და 2 ბავშვით ქუჩაში აღმოვჩნდი და თავშესაფარში მიპატრონეს. კვება, ექიმები, წამლები, ჩასაცმელი და სხვა ყველაფერი რაც მჭირდებოდა, ქსელმა საკუთარ თავზე აიღო. ყველაფერი გააკეთეს, რომ საზოგადოებაში რეაბილიტაცია გამეგლო და ფეხზე დამაყენეს. მაშინვე სამსახური და რაღაცით თავი გამაქვს. რომ არა თავშესაფარი, არ ვიცი გადავრჩებოდი თუ არა.

„ქსელი იურიდიულადაც მენმარება. ცდილობენ, დევნილთა სამინისტროსთან გარკვეული პროცედურებისა და შუამდგომლობებით ჩემმა შვილებმა, როგორც დევნილებმა, სახელწმიფოსგან თავშესაფარი მიიღონ. დღეს, სამგორში კარავში ვცხოვრობთ. ქსელის დახმარებით ბავშვებს დევნილთა შემწეობაც დაენიშნათ და გაგვაქვს თავი. დევნილთა სამინისტროსგან ქსელმა მიიღო გარანტია, რომ თავშესაფარს მომცემენ, თუმცა ჯერჯერობით არაფერი ჩანს“.

სუბირად დასმული პითხვები

ნა ითვლება ოჯახში ძადადობად – ცემა, ფიზიკურად შეხება, მკვლელობა თუ ძადადობის სხვა ფორმას ანსებობს?

ოჯახში ძადადობა არ არის მხოლოდ ცემა, ფიზიკურად შეხება თუ მკვლელობა. საქართველოს კანონით „ოჯახში ძადადობის აღკვეთის, ოჯახში ძადადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ძადადობის ექვსი ფორმა არსებობს. ოჯახში ძადადობის ფორმებია:

- ფიზიკური ძადადობა;
- ფსიქოლოგიური ძადადობა ;
- სექსუალური ძადადობა;
- ეკონომიკური ძადადობა;
- იძულება;
- უგულვებელყოფა.

არსებული კანონმდებლობით, ფიზიკური ძადადობა ითვლება ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძადადობა არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

სექსუალური ძადადობაა სქესობრივი კავშირი ძადადობით, ძადადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკურ ძადადობად ითვლება ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელით თუ ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

იძულება - ესეც ოჯახში ძადადობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური იძულებას შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა; უგულვებელყოფა, ძადადობის ერთ-ერთი ფორმა გულისხმობს მშობლების მხრიდან ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების რეგულარულ დაუკმაყოფილებლობას.

ვინ ითვლება ოჯახში ძადადობის მსხვერპლად?

ძადადობის მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური,

ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძადადობა ან იძულება.

ვინ ითვლება მოძადადედ?

მოძადადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძადადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

როგორ უნდა მოვიქცე, როცა ძადადობის რომელიმე ფორმას განვიცდი, ვის მივმართოთ დასახმარებლად?

საქართველოს კანონმდებლობით, როცა პირი განიცდის ძადადობას, დასახმარებლად უნდა მიმართოს პოლიციას, სასამართლოს, ოჯახში ძადადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებოთაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძადადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფს, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დახარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს ან აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. „ძადადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ცხელი ხაზის ნომერია: (+995 32) 26 16 27



როგორ მოვხვედ მსხვერპლთა თავშესაფარში?

მსხვერპლთა თავშესაფარი გააჩნია როგორც „ძადადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს“, ისე სახელმწიფოს. სახელმწიფო თავშესაფარებში მსხვერპლის განთავსება ხდება დამცავი თუ შემაკავებელი ორდერის მეშვეობით ან მსხვერპლის სტატუსის მიღებით. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციას „ძადადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავშესაფარს, მსხვერპლისთვის მსგავსი პროცედურების გავლა არ არის აუცილებელი. სავალდებულოა, სავარაუდო მსხვერპლთან ქსელის სოციალურ მუშაკთან, ოურისტთან და ფსიქოლოგთან გასაუბრება და დადასტურება, რომ პიროვნება ნამდვილად ოჯახური ძადადობის მსხვერპლია.

ნას ნიშნავს დამცავი და შემაკავებელი ორდერები?

კანონმდებლობით ორი სახის ორდერი არსებობს - დამცავი და შემაკავებელი.

აღნიშნული ორდერები ერთმანეთისაგან გამოიყვანის სუბიექტის, მოქმედების ვადის, გასათვალისწინებელი საკითხებით, გამოცემისა და ძალაში შესვლის სპეციფიკურობით განსხვავდებიან.

დამცავი ორდერი გამოიცემა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, ოურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძადადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე უნდა შევიდეს და განიხილოს პირველი ინსტანციის სასამართლოში, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დამცავი ორდერი გაცივს 3 თვემდე ვადით. თუ პირის მიმართ გარკვეული საფრთხე არსებობს, შესაძლებელია ორდერის კიდევ 3 თვით გახანგრძლივება.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ოჯახში ძადადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით და გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

ნას ითვადისწინებს დამცავი ორდერი?

დამცავი ორდერის გამოცემის მიზანია მსხვერპლის მოძალადისგან დაცვა. კერძოდ, - მოძალადის იმ სახლისგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს; მოძალადის მიერ თანასაკუთრების ერთპიროვნული სარგებობის უფლების კარდაღვა; მოძალადის ბავშვებთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირება; მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან თა სხვა ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება და ის საკითხები, რაც აუცილებელია მსხვერპლის დაცულობისთვის.

ნა პერიოდით შეიძლება თავშესაფარში მსხვერპლის განთავსება?

„ძადადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავშესაფარში მსხვერპლის განთავსება შესაძლებელია მისი მდგომარეობიდან გამომდინარე 3 თვემდე ვადით.


ნა სერვისები ანსებობს თავშესაფარში?

მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების შემდეგ ორგანიზაცია ვალდებულია იღებს, უზრუნველყოს ის პირველადი საჭიროების ნივთებითა და საკვებით, ასევე, ფსიქო-სოციალური და ოურიდიული დახმარებით. თავშესაფრის მკვიდრი არასრულწლოვნები ჩართულები არიან ახლომდებარე ბაღებისა და სკოლების სასწავლო პროცესებში.

ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებელი

2013 წელს საქართველოს 21 ქალი მოკლეს. მათ შორის იყო ქმრის მიერ ცოდის მოკვდის 8, ხოლო შვილის მიერ დედის მკვლელობის 1 შემთხვევა. 2014 წლის 9 თვეში კი ქალის მკვლელობის 20-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. 200-ზე მეტ ქალბატონს კი ფიზიკურად გაუსწორდნენ. ეს ის ოფიციალური სტატისტიკაა, რომლის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილია. არაოფიციალური მაჩვენებელი კი, როცა დაზარალებულები საჩივრებზე უარს ამბობენ, გაცილებით მეტია.


2007-2014 წლების სტატისტიკით, ოჯახში ძალადობის მონაწილეთა ასაკობრივი მაჩვენებელი შემდეგია: მსხვერპლნი ძირითადად 25-44 წლის აღმნიშვნები არიან. თუ 2007 წელს 173 მსხვერპლი არსებობდა, 2012-ში მათი რაოდენობა 101-მდე შემცირდა,



რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია თბილისში 1103 შემთხვევით, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში 1045 შემთხვევით. ყველაზე ნაკლები შემთხვევა კი გამოვლინდა კახეთში - 180 ფაქტი.

თუ მოძალადეების სტატისტიკას გადავხედავთ, მათი ასაკი 25-44 წელია. დაზარალებულები კი ძირითადად ქალბატონები არიან. 468 დაზარალებულიდან 372-ს ქალბატონები შეადგენენ, 98-ს კი მამაკაცი.

ოჯახში ძალადობის სახეებიდან კი



2014 წელს კი 69 მსხვერპლი დაფიქსირდა.

ოჯახში კონფლიქტის მიზეზებად კი 3 ფაქტორი გამოვლინდა: ქონებრივი დავა, ექვიანობა და ალკოჰოლური სასმელის სშირი მიღება.



თუ რეგიონების მაჩვენებელს გადავხედავთ, ოჯახში ძალადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, შემდეგ მოდის ქვემო ქართლი და აჭარა.

რაც შეეხება ოჯახებში კონფლიქტებს მაჩვენებელს 2007-2014 წლებში, დაფიქსირებულია 5 000-მდე კონფლიქტის შემთხვევა და 10 000-ზე მეტი დაზარალებული.

საქართველოში ფიზიკური ძალადობა ჭარბობს 47,2%-ით, შემდეგ ადგილზეა ფსიქოლოგიური ძალადობა 42,8%-ით.



რაც შეეხება 2015 წლის მაჩვენებელსა და პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობას, 13 ნოემბრის მონაცემებით სასამართლომ 2245 ორდერი დაამტკიცა. 2015 წელს მთლიანობაში დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის 766 შემთხვევა, აქედან სს ღევნა დაიწყო 686 შემთხვევასთან დაკავშირებით.



PRIME Time www.primetimenews.ge

საგაზეთო ჩანართი - „არა ძალადობას“ არის სოციალური ხასიათის ჩანართი უფასო გავრცელებისთვის. „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ მძალადობას უხდის „პრაიმტიმის“ რედაქციას სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარებისა და თანამშრომლობისთვის.